დაე, უფრო აყვავდეს საბჭოთა საქართველო

ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 112 (12026)

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1961 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲞ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ,—

ᲐᲡᲔ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲐᲦᲕᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚ ᲨᲢᲐᲑᲡ, ᲛᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ, ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲘᲕᲚᲘᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲬᲘᲜ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!—

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲗ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ.

16 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲖᲘᲣᲠᲘ ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ — ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲐᲛᲮ. Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ 88 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. ᲒᲐᲑᲐᲜᲒᲐᲫᲘᲡᲐ.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔ ᲘᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ“...

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲖᲔᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ.

ᲐᲯᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ.

ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ — ᲐᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ, ᲠᲘᲗᲝᲪᲘ ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲠᲘᲡᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲦᲬᲔᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲛᲐᲩᲕᲜᲔᲑᲔᲚᲡ.

— ᲐᲓᲐᲠᲘ, — ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲘᲡ Გ. ᲡᲘᲜᲯᲣᲐ, — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲘᲗᲝᲪᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲣᲚ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲘᲡᲛᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲘᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ.

ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ Გ. ᲡᲘᲜᲯᲣᲐ, — ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲣᲚ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲘᲡᲛᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲗ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲗᲘᲗᲘᲡᲛᲬᲘᲤᲝ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ.

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲐ?

— ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲨᲘᲕᲔᲐ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ Ა. ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲛᲔᲑᲐ. — ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲧᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲪᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ. — ᲔᲙᲕᲡᲜᲐᲖᲘᲐᲜᲘ, ᲨᲕᲘᲓ ᲡᲐᲐᲗᲘ...

Ა. ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. ᲡᲘᲜᲯᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲪᲘᲗᲮᲝᲑᲓᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲐ ᲛᲘᲘᲐᲥᲧᲠᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲠᲒᲛᲘᲡᲛᲝᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲐᲛᲘᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ.

ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲘᲧᲝᲗ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ.

ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲡ ᲛᲐᲩᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲖᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲣᲚᲘᲗ.

Ზ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠᲠ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲛ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲐᲦᲐᲕᲡᲝ ᲖᲔᲘᲛᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ,—

ᲐᲡᲔ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ.



Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲤᲝᲢᲝ Ს. ᲝᲜᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ბ. ᲚᲣᲪᲔᲜᲙᲝᲡᲘᲡ (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს უამრავი მოსალოცი დეპეშა. დეპეშები გამოგზავნეს ჩვენი ქვეყნის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროთა და უწყებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა. გულითადი მოსალოცი დეპეშები გამოგზავნეს საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწეებმა, თვალსაჩინო მეცნიერებმა, პოეტებმა, მსახიობებმა, წარმოების წარჩინებულმა მუშაკებმა, სოციალისტური მინდვრების სახელგანთქმულმა მშრომელებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა, მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, ორჯონიკიძისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებმა... და საიდანაც უნდა იყოს მიღებული ეს კეთილისმსურველი წერილები — ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვიდან, თუ კურილიის კუნძულებიდან, ბრატსკის ჰესის მშენებლობიდან, თუ ყამირის მხარის ველებიდან, ყოველი მათგანი გამსჭვალულია ხალხთა პატრიოტიზმისა და მეგობრობის გრძნობით.

საბჭოების ქვეყნის სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გულითადად ულოცავენ ქართველ ხალხს სახელოვან ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს, სულითა და გულით უსურვებენ მას ახალ შესანიშნავ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში. ეს მეგობრული, გულითადი მისალმებანი ცოცხალი ილუსტრაციაა სსრ კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობისა, მათი უსაზღვრო სიყვარულისა თავიანთი დიადი სამშობლოსადმი, უსაზღვრო ერთგულებისა კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ხალხი კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ. (საქდესი).

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სიმინდისა და ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა. სიმინდი დათესილია 5.732 ჰექტარი — მნიშვნელოვნად მეტი გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, 101 პროცენტით შესრულდა ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა. (საქდესი).

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ რაიონის აღაიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ დაამთავრა შამპანური ჯიშების საუკეთესო ვაზის მყნობა. ვაზი დამყნობილია 1.200.000 ცალი. ვაზის მყნობაზე კარგად მუშაობდნენ საბჭოთა მეურნეობის მუშები ა. ქენქაძე, ძმები შალვა და მიხეილ დილიმაშვილები, ი. ძამაშვილი, დ. ლაშკარაშვილი, ი. თხილიშვილი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ.

ᲒᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა—დათესეს 3.707 ჰექტარი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.700 ჰექტარისა.

შესრულებულია ვაზის მყნობის დავალებაც. დამყნობილია 1.232.000 ძირი ვაზი ნაცვლად 1.210.000 ძირისა.

ᲜᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებმა 13 მაისისათვის შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა. სულ დათესილია 2.513 ჰექტარი სიმინდი, გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. სიმინდის თესვა გრძელდება.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ სულ რაიონში მოკრეფილია 1.137 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 82 ტონით მეტი. სოფელ კორცხელის კოლმეურნეობაში **ლუნა ქობალიამ** მოკრიფა 85 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, **ბაბუალი სორდიამ** — 75, **ციალა ქობალიამ** — 70, ხოლო **სულიკო დარსანიამ** — 65 კილოგრამი.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ სოფელ მამათის კოლმეურნეობამ ერთ დღეს მოკრიფა 14 ტონა ჩაის ფოთოლი. თავი ისახელა **ოლღა ჩხაიძემ**, რომელმაც მოკრიფა 110 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ და დღიური დავალება ხუთმაგად შეასრულა. **გოგუცა ჩხაიძემ** მოკრიფა 106 კილოგრამი, **ნათელა ჩხაიძემ** — 70, ხოლო **ზაურ ჩხარტიშვილმა, ნათელა მექვაბიშვილმა, მაყვალა ღლონტმა** — სამოც-სამოცი კილოგრამი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიულოცა ყველა ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს მათი მებრძოლი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური პარტიის 40 წლისთავი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 14 მაისი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეებს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელისმოწერის მეექვსე წლისთავის გამო.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სომალის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდირაშიდ ალი შერმარკი მოიწვია საბჭოთა კავშირში, მიღწეულია შეთანხმება, რომ სომალის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდირაშიდ ალი შერმარკი სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა მაისის დამლეკს.

ᲡᲙᲙ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐ�კᲘᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲒᲐ, 16 მაისი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობის აღმაფრთოვანებელ, გულითად მანიფესტაციად გადაიქცა ყველგან შეხვედრები სკკ დელეგაციისა სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეებს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელისმოწერის მეექვსე წლისთავის გამო.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲠᲩᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔ

ცოცხალი მუზეუმი

სასახლეს ეძახდნენ ძველად. სასახლეს უწოდებენ ახლაც.

სახელის მიხედვით და გარეგნულადაც, ერთი შეხედვით და გარეგნულადაც, ერთი შეხედვით აქ თითქოს არაფერი მეცვლილა.

მაშ, რაშია საქმე? — იფიქრებს მკითხველი.

კაცმა რომ თქვას, რაიმე ახლისა და განსაკუთრებული თქმას არ ვაპირებ. ყველაფერი ეს ძველია, თითქმის თვითეული ჩვენთანგანისათვის კარგად ნაცნობი (ვგულისხმობ ჩემ თაობას). მას თვალიც და ყურიც ისე შეეჩვია, ყველაფერი ისე ჩვეულებრივად იქცა, ბუნად გვგონია, რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო და თითქოს სხვანაირად წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ განსხვავება კი არის და ძალიან დიდი განსხვავებაც. იმ სასახლესა, რომელიც იყო და... სასახლესა, რომელიც არის.

იყო რუსეთის მეფის ნაცვლის მთავარმართებლის სასახლე.

იმპერატორ ნიკოლოზისა და მის წინამორბედ მეფეთა წარმომადგენლები კოლონიზატორის ხელით აქედან მართავდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიას. ისინი განაგებდნენ ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების არა მარტო მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, არამედ მათ ბედსაც.

სასახლის გაჩახჩახებულ ელვარე დარბაზებში და ფერადი ფანრებით მორთულ ბაღში იმართებოდა მეჯლისები და მასკარადები. ისმოდა მუსიკა და დეზების ჩხარუნი. ეფსელბანტებიანი მამაკაცები დაკაროლებდნენ მოკისკისე ქალებს...

და თუ კი ვინმე ჩამოვიდოდა თბილისში თვალსაჩინო და პატივსაცემი სტუმარი — უცხოეთიდან თუ რუსეთიდან, აქ იწვევდნენ.

სასახლის პირდაპირ, შუა ქალაქში სამხედრო სატუსაღო იყო — ჰაუპტვახტი. გამოზამთული ნაბიჯით, წინა და უკან, ღღისითა და ღამით დადიოდა თოფიანი ჯარისკაცი. ისმოდა ნალით დაჭედილი ხეტქის ხმა — ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, როგორც ქვეყნის ეიმთასვლის სამედისწერო კაკუნი.

მარჯვნივ ვეება სამხედრო ტაძარი იდგა, დიდგუმბათიანი, იდგა, როგორც ქრისტეს ჯვარს ამოფარებული, ხიშტებზე დამყარებული ცარიზმის ძალის სიმბოლო.

წინ თელების ხეივანი მიუყვებოდა — ერთადერთი ლამაზი ადგილი. მთელი გოლოვინის პროსპექტის გაყოლებით წამლად ძლივს იპოვიდი ხეს, თითქოს სამართებლით გაეპარსათ მიდამო.

უკან მოტიტვლებული მთაწმინდა ჩანდა, თავზე ეკლესიასავით წამოსკუპებული პატარა შენობით — როტონდით.

ასე გამოიყურებოდა მეფის ნაცვლის სასახლე და მისი მიდამოები.

აქ დიდი ბუნაგი მენშევიკების, ნ. ყორდანიას მკვდრადშობილმა, უდღეურმა მთავრობამ და იარსება ისე, რომ არავითარი კვალი არ დაუტოვებია არა მარტო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, არამედ ამ სასახლის შიგნითა და გარეთაც.

ერთხანს, დროებით, ამ შენობაში მოთავსებული იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები. აქ იჯდნენ მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე. მაშინ ვის ეცალა სასახლეების ასაშენებლად, ხალხი ჯერ ზაჰესსა და რიონჰესს აგებდა, ქუთაისისა და თბილისის მაუდის ფაბრიკებს უყრიდა საძირკვლებს, ღრმაღელეში და ნავთლღში ჩაღდებოდა საწარმოთა კორპუსების ფართო მშენებლობა, ფეხს იდგამდნენ ტყვარჩელის ქვანახშირის შახტები, ზესტაფონში შეუდგნენ ფეროს ქარხნის კედლების ამოყვანას...

ერთიმეორეზე რიგში დგებოდნენ, ხორცს ისხამდნენ, ცოცხალ სინამდვილად იქცეოდნენ ხუთწლედები.

ძალას იკრებდა, საკუთარ ფეხზე დგებოდა, ინდუსტრიის ფართო შარაგზაზე გამოდიოდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო.

და როგორც კი ხალხმა ზურგი მოიმაგრა, წელში გაიმართა, მაშინვე შეუდგა ახალი სასახლის მშენებლობას.

...ლაღუმების ბთქმა გაიყრუა მიდამო. ჰაერში ცვიოდა სამხედრო ტაძრის ნამსხვრევები. დიდხანს ანგრევდნენ, აფეთქებდნენ მას.

ჩვენი ხალხის ძალამ რომანოვების იმპერია — მსოფლიო კაპიტალიზმის ერთერთი ციტადელი ააფეთქა და გააცამტვერა, და ამა, ეს ტაძარი რას გაუძლებდა.

და მის ადგილზე საფუძველი ჩაეყარა ახალ, დიდ მონუმენტურ შენობას — საბჭოთა საქართველოს მთავრობის სახლს. ხალხი დიდხანს აგებდა მას ლოპოტის მარმარილოთი და ბოლნისის ტუფით, სიყვარული აჩუქრთმევდა ცვილისფერ კეთილშობილ ქვაზე ყოველ ორნამენტს კარნიზებისა და სვეტის თავებისათვის.

ძველი სასახლის გვერდით მთელი სიდიადით ამაყად წამოიზიდა ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების ხელოვნქმნელი ძეგლი. მისი ბადალი სიდიდითა და სილამაზით ჯერ არ აგებულიყო საქართველოში.

აქ, ამ შენობის თაღქვეშ იკრიბებიან გიის დედოფალი ელისაბედი და ეთიოპიის მეფე სელასიე პირველი და ვინ მოთვლის, მსოფლიოს რამდენი ქვეყნისა და სახელმწიფოს მეთაურები და დელეგაციები არ გაცნობიან ბედნიერი ბავშვების ცხოვრებას და აღტაცება არ გამოუთქვამთ ნანახის გამო.

უკან მწვანით შემოსილი მთაწმინდის ფერდობიდან და კორწოხიდან ქალაქს დასცქერის მარმარილოს დარბაზიანი დიდებული შენობა და სტალინის პარკი, საღიაც ზეცაში მისკენ მიისწრაფვის საჰაერო ტრამვაი. ფოლადის ჯარისკაციანი გაჯგიმული სატელევიზიო ანძა; თითქოს სახეიმო პატაკს აძლევდეს არა მარტო საქართველოს, — საუკუნეებს.

აი, თელების ის ხეივანიც. წლების მანძილზე რომ დარაჯობს სასახლეს, ჯადრების ერთ მთლიან ხეივნად ქცეულ რუსთაველის პროსპექტთან შედარებით გახუნებულად და ყამგადასულად გამოიყურება...

აქ ბევრი სხვაც გამოიცვალა. ახალი ნაგებობანი აშენდა; მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, ეკლესიის ქვის ქალაქთა პერანგიანი კავშირგაბმულობის სახლი, რუსთაველის კინოთეატრი, ისტორიული მუზეუმი, ახალი სკვიერი ქუჩის გალმა-გამოღმა! კმარა! ვფიქრობთ, ესეც სკმაოა! და ბოლოს დიდი შოთას მონუმენტი პროსპექტის თავში. განა ეს ნაგებობები არ აძლევენ ტონს რუსთაველის მაგისტრალის მთელ ანსამბლს!

ერთი სიტყვით, ნამდვილი ცოცხალი მუზეუმია ახალი და ძველი ექსპონატებით ჩვენი ქალაქის ეს კუთხე, სადაც წარსული, ძველის ფონზე უფრო მკვეთრად, უფრო ნათლად და დიადად მოჩანს ახალი, ჩვენი დღევანდელობა. თუმცა მარტო ეს კუთხე რატომ, განა ასეთი მეზუეუმი არ არის მთელი თბილისი, მთელი საქართველო, ან მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა? მისი შვილებისათვის, მისი მშენებლებისათვის აქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია, უცხოელთათვის კი — „გამოცანა“ და „სასწაული“.

...ათასობით მტრედი — ჩვენი მომავლის იმედი დაღღეუნებს ყოველდღეურად პიონერთა სასახლეში. არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ნამდვილი მტრედების გუნდს ბუდედ მთავრობის სახლის მაღალთაღიანი შენობის კუნჭულები აურჩეიათ.

მაშ, იღუღუნონ, იღუღუნონ მტრედებმა, ვით ქართულმა ჩონგურებმა, ჩვენს ქვეყანაში!

სერგო ხარაზიშვილი.

გზა მშვიდობისა, მწყემსი ბრიგადა

კავკასიონის მთებში ბუნების ზეიმია. რამდენიმე დღეც, და მწვერვალები თეთრ საბურველს ხვევენ ჩაურიან, გულმკერდს ათასფერი ყვავილებითა და მწვანე ბალახით მოიქარგავენ. ამა წელიწადის რომელი დრო შეედრება გაზაფხულს? ვის არ გაახარებს ბუნების გამოღვიძების დიდებული სიმფონია? მაგრამ ყველაზე მეტად ამას განიცდიან მწყემსები, რომლებსაც არც ზამთრის ყინვა ამინებთ და არც მშობლიური მიწის მრისხანება.

გაზაფხული რომ დადგება, მწყემსებს სამშობლოსაკენ მოუწევთ გული. მათის პირველ ნახევარში იწყება ცხვრის გადარეკვა საზამთრო სამოვრებიდან საზაფხულო იალაღებზე. გადარეკვის დღეებში ჩვენი რესპუბლიკის გზები სავსეა ცხვრის ფარებით, რომლებიც მოძრაკენტლებს ჰგვანან და ნელი შრიალით მიიწევენ წინ შობლიური მთებისაკენ. ასეა რესპუბლიკის შიგნით, ასეა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. გული სიამაყით ივსება, როცა ჩრდილოეთ კავკასიის გზებზე ხედავ ასობით კონტეინერიან ავტომანქანას, რომლებსაც სწრაფად გადაჰყავთ ცხვარი.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, რომლებიც სამომთაბარეო მეცხვარეობას მისდევენ, გაცხოველებით მიმდინარეობს ცხვრის გადარეკვა. უკვე ახმაურდა პირუტყვის გადასარეკი ტრასები — ჯარ-ჯარად დაიძრა ათასიანი ფარები მთათუშეთის, თრიალეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთებისაკენ.

— როგორ ეწყობა ცხვრის გადარეკვა, რა არის ახალი ამ საქმეში, როგორ გამოაზამთრეს ცხვარი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში? რა გაკეთდა იმ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რომელიც აღნიშნული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე და ამერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე? — ამ კითხვებით მიმართა ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ამბ. კ. კაპანაძეს.

— დარწმუნებით შეიძლება ითქვას,— განაცხადა ამბ. კ. კაპანაძემ, — რომ ქართველმა მეცხვარეებმა და ამ დარგის სპეციალისტებმა, სოფლის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა აქტივმა გათავალისწინეს ცხვრის მოვლა-პატრონობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა და ყველაფერს აკეთებენ მეცხოველეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის.

წინა წლებისაგან განსხვავებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზაზნან კარგად მოემზადნენ ცხვრის ნორმალური გამოზამთრებისათვის. მისაბაძი თათსონობა გამოიჩინეს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის, წოლიწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის, სოფელ ჯაფარიძისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში, სადაც ცხვრისათვის ამზადებენ სილოსს, ბინების ახლოს თესავენ მრავალწლიან ბალახებს, მარცვლეულ კულტურებს და საჭიროების შემთხვევაში მწვანე საკვებად იყენებენ.

პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესების შედეგად, მკვეთრად შემცირდა ცხვრის სიკვდილიანობა. მაგალითად, ზაზნან 1 აპრილისათვის წითელწყაროს რაიონში დაიხოცა ცხვრის მთელი სულადობის 1,6 პროცენტი. მიმდინარე წლის ამავე პერიოდისათვის გაშენდარი ცხვრის რაოდენობა მხოლოდ 0,6 პროცენტს შეადგენდა. ასეთივე მდგომარეობაა სილნაღის, დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ფართოდ გავცელდება ნოვატორი მეცხვარის გ. ჩალაბაშვილის მუშაობის მეთოდი, რომელმაც სტავროპოლელი კოლეგის ი. მალაშენკოს მიბაძვით რესპუბლიკაში პირველმა დანერგა შემჭიდროებული დოლი. სასახლოა, რომ ზაზნან სიღნაღის რაიონში ყოველ 100 ნერგზე საშუალოდ 106 ბატკანი შენარჩუნეს. 1960 წელს ყაზბეგის, დუშეთის, ლენინგორისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში დაბალი იყო ნამატის შენარჩუნების პროცენტი. წელს მდგომარეობა გამოსწორდა. 20 აპრილისათვის დუშეთის რაიონში ყოველ 100 ნერგზე მიღებული ჰყავდათ 86 ბატკანი. დოლი კი მაშინ დამთავრებული არ იყო. ასე რომ ამ გაზაფხულზე ჩვენი მამაცი მწყემსები მშობლიურ სოფლებში შერცხვენილი როდი დაბრუნდებიან.

ეს იმის შედეგიც არის, რომ კოლმეურნეობებში ამაღლდა მწყემსთა მატერიალური დაინტერესება, გაუმჯობესდა კულტურული საცხოვრებელი პირობები. ...

...ბ. ბელინსკის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად

...ბ. ბელინსკის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად

სურათზე: კოტონის წინდების ფაბრიკის მოწინავე ადამიანები ბრიგადირი ლ. ხოპოლავა (მარჯვნივ) და მუშა ლ. ზიმინა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ. შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საშვილიშვილო საქმე

გამოხმაურება წერილზე — „ერთი საქმე კეთდება, მეორე კი ფუჭდება“

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 6 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ინჟინერ ვ. ქოიავას წერილი — „ერთი საქმე კეთდება, მეორე კი ფუჭდება“ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხს ეხება.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ჭიათურის სამრეწველო რაიონში ისეთი მასშტაბით გაიშალა მარგანეცის მადნის მოპოვება, იმდენად დიდ ტერიტორიაზე წარმოებს სამთო სამუშაოები, რომ, უკვე შეუძლებელია მრეწველობის ამ დარგის შემდგომი განვითარების საკითხების გადაჭრისას არ გავითვალისწინოთ ქალაქის გარეუბნების სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ბუნების დაცვის ინტერესები.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების ნაცვლად მისი ღია წესით მოპოვება. ღია კარიერებით მადნის მოპოვება ჭიათურაში შედარებით ახალი საქმეა, მაგრამ მას დიდი პერსპექტივები აქვს და უახლოეს წლებში ეს მეთოდი უთუოდ ფართოდ დაინერგება.

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიური, ისე ბუნების დაცვის თვალსაზრისით. მისი ეკონომიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შევაძინოთ მრავალი ჰექტარი ვარგისი და ნაყოფიერი მიწები. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი ჭიათურა-საჩხერის მიდამოებში, ამის საილუსტრაციოდ ვ. ქოიავას მოჰყავს მიწის ფართობების სიმცირე ერთ საკოლმეურნეო კომლზე. მაგრამ საქმე მარტო მიწის საერთო ფართობის სიმცირე როდია; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამუშავებისათვის გარგისი მიწების სულადობრივ ნორმას და თვით ამ მიწების ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოყენების შესაძლებლობას.

ღია კარიერებში მარგანეცის მოპოვების წესი სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. სასოფლო სწორად გადაჭრისას იგი საშუალებას იძლევა საგრძნობლად შეეფასოთ სასარგებლო მიწების ფონდი და სოფლის მეურნეობას შევძინოთ ასობით ჰექტარი დამუშავებისათვის ვარგისი სრულფასოვანი მიწები.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჭიათურის მიდამოებში არსებული ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობების გამო აღნიშნული მიწები მთელი სისრულით შეიძლება გამოვიყენოთ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, კერძოდ ვენახის გასაშენებლად.

ჭიათურის მანგანეცის მადნის საბადოსათვის დამახასიათებელია დამუშავებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები, რის გამოც მადნის მოპოვება აქ ძვირი არ ჯდება, ეს მით უმეტეს აღსანიშნავია მადნის ღია წესით მოპოვების დროს. ღია წესით მოპოვებული მადნის თვითღირებულების შემცირება სრულ შესაძლებლობას ქმნის გათვალისწინებულ იქნას განსაზღვრული ხარჯები ნიადაგის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია უკვე მომავალი წლიდან მადნის ღია წესით მოპოვების თვითღირებულების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნას მიწების აღდგენისათვის საჭირო ხარჯები. ამას მოითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაა ბუნების დაცვის ინტერესები. საქმე ის არის, რომ მადნის ფენის ზემოთ მდებარე ნიადაგისა და ფუჭი ქანის გადახსნის შედეგად ადვილად შლად მასალას ყრიან მეზობლად მდებარე ხევებში. იმ შემთხვევებში, როცა ნიადაგსა და ფუჭ ქანებს ადგილზეკე მოუსწორებლად აგროვებენ, იგი იფიტება, ფხვიერდება და ქარს მტვრის სახით შორს გადაქცევს. ეს ცუდად მოქმედებს მცენარეულობაზე და ადამიანის ორგანიზმზეც. გარდა ამისა, უუსრგოდ გამომუშავებული ზედაპირული ქანები ხშირად ეროზიის კერად ხდება, ზოგჯერ კი მეწყერის მოვლენებსაც იწვევს.

როდესაც საქართველოს ამა თუ იმ მხარეში ბუნების დაცვის საკითხს ვეხებით, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ შემდეგი ფაქტი, ამ სტრიქონების ავტორები 1959 წლის სექტემბერში მონაწილეობდნენ ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის გეოგრაფთა თათბირის მუშაობაში, რომელიც ირკუტსკში მიმდინარეობდა და მიძღვნილი იყო აღმოსავლეთის რაიონების ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და გამოყენებისადმი.

თათბირის მუშაობის პროცესში სამეცნიერო ექსკურსიები მოეწყო აღმოსავლეთ ციმბირის ტაიგისა და ბაიკალის ტბის მიდამოებში, მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰესის მშენებლობაზე. ჩვენ გვაოცებდა ბუნების თითქმის ხელუხლებელი, კოლოსალური სიმდიდრეები, რომელთა გრანდიოზული მასშტაბებით ათვისება დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო. ჩვენ განგვაცვიფრა არა მარტო ციმბირის ამ უღელვმა სიმდიდრემ, არამედ იმანაც, რომ თათბირზე მსჯელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგნად ბუნების დაცვა იდგა. ცნობილი საბჭოთა გეოგრაფები და ბუნებისმეტყველები აყენებდნენ წინადადებებს ტაიგის ტყის მასივების, ნიადაგების, ბაიკალის ტბის და სხვა რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების შესახებ. ეს წინადადებანი თათბირმა ერთსულოვნად მიიღო და შესაბამისი რეკომენდაციები წარადგინა ხელმძღვანელ ორგანოებში.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხალხი ზრუნავს ტაიგის თითქმის ხელუხლებელი, პრაქტიკულად უღევი სიმდიდრის დაცვისათვის. ასეთ ვითარებაში ცხადია, თუ რამდენად მწვავედ უნდა დაისვას ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში.

ღია კარიერების მიდამოებში ამჟამად მხოლოდ აქა-იქ შემორჩენილია წინათ ფართოდ გავრცელებული მშვენიერი მუხის ტყეები, რომელთა არათუ აღდგენაზე, არამედ პატარ-პატარა შემონახული კორომების შენარჩუნებაზეც არაფინ ზრუნავს. ტყე, აქ მარტო ბუნების სილამაზეს კი არ წარმოადგენს, არამედ ნიადაგდაცვისა და წყალშენახვის ეფექტური საშუალებაც არის. ტყეების გაჩეხვამ გამოიწვია ნიადაგური და ჰიდროკლიმატური პირობების შეცვლა, გაძლიერდა ქარების მოქმედება და მათი უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. არის შემთხვევები, როცა ქარების გამო ნიადაგის გადატანაც კი ხდება ერთი ადგილიდან მეორეზე და ამით ნათესები იღუპება, ხოლო ტყე წამოზრდილი სიმინდი, ვაზი ან სხვა მრავალწლიანი კულტურები მექანიკურად ზიანდება, ასეთი მდგომარეობის დროს დღემდე შემორჩენილი ტყეებისა და ბუჩქნარების გაჩანაგება, რასაც ადგილი აქვს ჭიათურის მაღაროებისა და ღია კარიერების (მათ შორის ქვარცის სილის კარიერების) მოქმედების რაიონში მეტად საზიანოა და აუცილებლად უნდა აღიკვეთოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაინტერესებულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა პრაქტიკულად უნდა მოაგვარონ ეს საშვილიშვილო და მეტად საჭირო საქმე.

ვ. ჯაოშვილი,
დ. უკლება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომლები.

საერთაშორისო თემაზე

თანამედროვე პომპადურები

31 მაისს პარიზში ლე ბურჟეს აეროდრომზე საავიაციო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით „კოსმოსის დღე“ უნდა აღნიშნულიყო. საფრანგეთის საავიაციო მრეწველთა გაერთიანებამ რამდენიმე ხნის წინათ ამ დღესასწაულზე იური გაგარინი მიიწვია.

ეს მიწვევა სავსებით ლოგიკური და სამართლიანი იყო. ვინ უნდა ყოფილიყო „კოსმოსის დღის“ საპატიო სტუმარი, თუ არა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი?

ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ეს მიპატიჟება უკან წაიღეს და იური გაგარინს პარიზში აღარ იწვევენ. სტუმართმოყვარე ზრდილი საფრანგეთისათვის აქამდე ურნახული, არგაგონილი, უჩვეულო რამ მოხდა.

რა მოხდა? სულ უბრალო რამ. 31 მაისს პარიზში ჩადის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი, დიდი ამალითა და მეუღლით. მას თან უნდა ხლებოდა ალან შეპარდი, ამას წინათ კანავერალის კონცხიდან თხუთმეტწუთიანი ნახტომი რომ გააკეთა კოსმოსში.

უცხოეთის რადიო და გაზეთები იუწყებიან, რომ კენედის ადმინისტრაციამ აგრძნობინა საფრანგეთის მთავრობას პრეზიდენტის და გაგარინის პარიზში ერთად ყოფნა სასურველი არ არსო. ალბათ იმიტომ, რომ იური გაგარინი მთელი საფრანგეთის უურადღების ცენტრში მოექცეოდა და ჯ. კენედი დაიჩრდილებოდა. მას ვერ უშველიდნენ ვერც მომხიბლავი ლამაზი ფრანგი ცოლი და ვერც ალან შეპარდი.

საფრანგეთის მთავრობამ უკან დაიხია. ეს ჩაიდინა იმ ქვეყნის მთავრობამ, რომლის მეთაური დღედადამ, მუდამჟამ საფრანგეთის დიდებაზე გაჰყვირის, მისი პოლიტიკის დამოუკიდებლობას ფიცულობს.

საკვირველი დიდებაა, რომელსაც უნდა შეეწიროს ხალხისათვის ოდითგან ჩვეული ტრადიციული ზრდილობა.

ხელისუფალთა ამ უგუნურმა გამოხდომამ მეტად აალელვა საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენები. ბევრმა ფრანგმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

ოფიციალური წრეები იძულებული იყვნენ უბერხულ მდგომარეობიდან რაღაც გამოსავალი ეპოვნათ. იპოვნეს კიდეც. ახლახან მიღებული ცნობით მათ გააუქმეს „კოსმოსის დღე“. პარიზში საავიაციო გამოფენაზე აღარ პატიჟობენ არც გაგარინს, არც შეპარდს.

როგორც სალტიკოვ-შჩედრინი მოგვითხრობს, თავის დროზე ამერიკაზე გაჯავრებულმა ერთმა ბიუროკრატმა, რიხიანი ბრძანება გასცა, „კვლავ დაიხუროს ამერიკაო“.

ეს გასულ საუკუნეში მოხდა. ჩვენი დროის ფრანგი ბიუროკრატები უფრო გათვითცნობიერებულნი არიან, ამერიკის დახურვაზე ფიქრს როგორ გაბედავენ. ახლა ამერიკაც სხვაა და საფრანგეთიც ის აღარ არის, რაც მაშინ იყო. ჯონ კენედის პარიზში ყოფნის დღეები რომ არ ჩაუშწარონ და ჩაუხმარონ, ბიზნესის მაამებლები ბრძანებას ცემენ, გაუქმდეს „კოსმოსის დღე“, არ აღინიშნოს გაგარინის ისტორიული ფრენა, შეპარდის ნახტომი.

საკვირველი ხერხებით ცდილობენ ზრდილობის შენარჩუნებას ჩვენი დროის პომპადურები.

მართლაც რომ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი კენედის ადმინისტრაციამ და საფრანგეთის მესვეურებმა.

ვლ. მაჭავარიანი.

...ბ. ბელინსკის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად

გენიალური რუსი მოაზროვნის, კრიტიკოსის ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკის დაბადების 150 წლისთავის გამო, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში სრულდება, შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში არიან ბ. ჟღენტი (თავმჯდომარე), გ. აბაშიძე, თ. ბუაჩიძე, თ. გაგლოევი, ვ. ზამბახიძე, ლ. კალანდაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. მარგველაშვილი, დ. მშვედლაშვილი, გ. ნატრიშვილი, ი. თარბა, ფ. ხალვაში, გ. ციციშვილი, ს. ჭილაია, ი. ჩხიკვიშვილი, ვ. შადური.

კომიტეტმა დასახა დიდი კრიტიკოსისა და მოაზროვნის იუბილეს მოწყობის ღონისძიებანი.

იუბილეს დღეებში გაიმართება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სესია, რომელიც მიეძღვნება ბ. ბელინსკის დაბადების 150 წლისთავს.

საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა ლექციები და საუბრები, გამოფენები, რომლებიც ასახავენ ბელინსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

იუბილეს დღესასწაულის დღეებში რესპუბლიკის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება ბ. ბელინსკისადმი მიძღვნილი კინოფილმები, გამოვა ბროშურები.

15 ივნისს შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოეწყობა ბ. ბელინსკის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო საღამო. (საქტასი).

ახალი საავადმყოფო

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). **აკეთში სოფლის საავადმყოფოს გ-ოთა-ხიანი კაპიტალური შენობა გადაეცა.**

საავადმყოფოს ეძღვნება ქირურგიული, თერაპევტიული და სტომატოლოგიური განყოფილებები, იგი უზრუნველყოფილია მედიკამენტებით, სამედიცინო ხელსაწყოებით.

განაჩენი მუქთახორებს

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „იმ პირებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას“.

ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ახორციელებს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამას. საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით შრომობენ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, ასრულებენ საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობას ოჯახში, იცავენ კანონებს და პატივს სცემენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მაგრამ, ნათქვამია შემდეგ ბრძანებულებაში, ქალაქად და სოფლად ჯერ კიდევ არიან ცალკეული პირები, რომლებიც ჯიუტობენ და არა სურთ პატიოსნად იშრომონ. ასეთი ადამიანები ხშირად მოსაჩვენებლად ეწყობიან სამუშაოზე, ფაქტიურად კი არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობენ და მდიდრდებიან სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელთა ხარჯზე, ანდა, თუმცა შრომის უნარი აქვთ, საერთოდ არსად არ მუშაობენ. ეწევიან აკრძალულ რეწვას, კერძო მეწარმეობას, სპეკულაციას, მათხოვრობენ, არაშრომითს შემოსავალს იღებენ პირადი ავტომანქანების ექსპლოატაციით, იყენებენ დაქირავებულ მუშახელს და არაშრომითს შემოსავალს იღებენ აგარაკისა და მიწის ნაკვეთებიდან, იშენებენ სახლებს, აგარაკებს უშრომლად შეძენილი სახსრებით, ამ მიზნისათვის იყენებენ უკანონოდ შეძენილ საშენ მასალას, აგრეთვე სხვადასხვა სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელს. კოლმეურნეობებში ამგვარი ადამიანები, სარგებლობენ რა კოლმეურნეებისათვის დაწესებული შეღავათებით, თავს არიდებენ პატიოსან შრომას, შინ ხდიან არაყს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არყევენ შრომის დისციპლინას და ამით ზიანს აყენებენ არტელის მეურნეობას.

ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, ხახვასმელია ბრძანებულებაში, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა, რათა საკანონმდებლო ეს სამართლებრივი მოვლენა ჩვენს საზოგადოებაში, საჭიროა ამ პირთა „გარშემო ქიქმნას“ შეუწყნარებლობისა და საყოველთაო დაგმობის ვითარება.

გაითვალისწინა რა მშრომელთა მრავალი სურვილი ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ბრძოლის გაძლიერების მესახებ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომლებსაც არა სურთ შეასრულონ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოვალეობა— პატიოსნად იშრომონ თავიანთი უნარის მიხედვით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, აქვთ არაშრომითი შემოსავალი, ან სჩადიან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, ისე საზოგადოების განაჩენით, რომელიც გამოაქვს შრომელთა კოლექტივს, ვრცელდება ავრეთვე იმ პირებზე, რომლებიც ეწყობიან სამუშაოზე საწარმოებში, დაწესებულებებში ან კოლმეურნეობის წევრებად ირიცხებიან მხოლოდ მოსაჩვენებლად, ნამდვილად კი პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

ბრძანებულების მიხედვით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილება იმ პირის მიმართ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება, „საზოგაოების განაჩენი გასაჯლების შესახებ უნდა დაამტკიცოს შრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

ბრძანებულება ითვალისწინებს, რომ თუ გასახლებული პირი, სამაგალითო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, ასეთი პირის მიმართ სულ ცოტა გასახლების ნახევარ ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება გადაიჭრას გადამდე განთავისუფლების საკითხი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთ

სიმღერა ვაზისა

ანა ანტონოვსკაია, ბორის ჩორნი

გამოჩენილმა რუსმა საბჭოთა მწერალმა ანა ანტონოვსკაიამ ჯერ კიდევ ამ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ დაუკავშირა თავისი შემოქმედებითი ბედი საქართველოს. იგი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისა და კულტურის უანგარო მეგობარია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და შესანიშნავი დღევანდელობის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე.

ანა ანტონოვსკაიას კალამს ეკუთვნის ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი რომანი-ეპოპეა ექვს წიგნად „დიდი მოურავი", რომელსაც თითქმის ორმოცი წელიწადი მოანდომა, რომანი „სამუშაოს ანგელოზები", მოთხრობა „ბათუმის რეიდზე", სცენარი კინოსურათ „ბიორგი საკაძისათვის" (დაწერილია ბ. ჩორნისთან ერთად).

ამ უკანასკნელ ხანს ანა ანტონოვსკაია თავის ვაჟიშვილთან მწერალ ბორის ჩორნისთან ერთად მუშაობს ახალი ნოველებისა და ნარკვევების წიგნზე, რომელსაც „დღევანდელი საქართველო" ერქმევა.

ვაქვეყნებთ ერთ-ერთ ნარკვევს ამ წიგნიდან.

პური და მარგალიტი

მრავალი ათასი წელიწადია ცხოვრობს ადამიანი დედამიწაზე. მრავალ ათას წელიწადს ითვლის ადამიანის გმირობაც. მშრომელი კაცის ამ გმირობას მოგვაგონებს უამრავი ქმნილება: ეგვიპტის პირამიდები და საბერძნეთის ანტიკური ქანდაკებანი, რომის პირველი წყალსადენი და ჩინეთის დენთი, პირველი ფრთები, რომლებმაც დედამიწას მოსწყვიტეს ადამიანი, და უძველესი იეროგლიფები, საუკუნეთა მიღმა ადამიანური სული და აზრი რომ შთაბერეს ქვას.

გმირობა ადამიანს თვისებაა ოდითგან...

ზოგიერთს გმირობისათვის აღფრთოვანებს უმძაფრესი სურვილი შეიცნოს იდუმალი მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ასე ისახამს ფრთებს იკაროსის ოცნება. ზოგიც ზღვის ფსკერზე ეშვება და ამოაჭვს უცხო მარგალიტი, რომლითაც მერე გვირგვინს დაიმშვენებს ხელსუფალი, თვით მარგალიტის მომპოვებელი კი ფრთხილად შეახებს ხელს გასამრჯელოდ მიღებულ ერთ ნატეხ პურს.

და მაშინ ხალხის გულში სვედიანი სიმღერები იწყებენ ღელვას. ამ სიმღერებშია ოცნებაც ბედნიერებაზე, გულისწყრომაცა და გმირობის წყურვილიც. საუკუნეთა მანძილზე ამ მისწრაფებებს ყველა ხალხი თავისებურ სიმბოლურ სახეებად აქცევს.

ერთი ასეთი სიმბოლო ქართველი ხალხისა ვაზია, რომელიც ესწრაფვის მზეს, ხოლო თვით მზე აღინთებს აზრს და გმირობისაკენ მოუწოდებს ადამიანს.

თქმულებები ზღვათა უფსკრულებში, უკიდეგანო ტრიალ ტრამალებსა და ყინულოვან მწვერვალებზე იღებენ სათავეს, ჩვენამდე მოაღწია ერთი საკვირველი ვაზის თქმულებამ, რომელიც ოქტომბრის დიადი დროის სურათია.

ხანა ალორძინებისა

წინ კავკასიონის მთები აღიმართნენ, ღრუბელთა მოლურჯო ყაბალახმოხვეულნი. ცოტაც, და მითიური ვაზის სამყოფელში ვიქნებით.

„ტუ-104"-ის სარკმლიდან საქართველოს მთაბარი რელიეფურ რუკასა ჰგავს. მაღლით თითქოს უფრო კარგად მოჩანს ყველაფერი დიდი და მშვენიერი. რარიგ გარდაიქმნა ცხოვრება, სადღაა ნახევრადკოლონიური ქვეყანა! იგი ახლა აყვავებული სოციალისტური რესპუბლიკაა. და ამ რუკაზე ფიქრში განვალაგეთ პირობითი ნიშნები:

ჭიათურა — მარგანეცი, ტყვარჩელი — ქვანახშირი, ზუგდიდი — ბარიტი. ახალციხის აქატი. ლოპოტის მარმარილო. მირზაანის ნავთობი. აჭარის ჩაი. კოლხიდის ნარინჯები. ქართლის ატამი, კახეთის ყურძენი...

ერთ წუთსაც არ წყდება საქართველოს მრეწველობის მაჯისცემა. ხორციელდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა; იზრდება თუჯის, ფოლადის, მილების, ფეროშენადნობების, ცემენტის, ავტოთვითსაცლელი მანქანების, მიწისმწოველის, ზუსტი ხელსაწყოების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სართავი დაზგების წარმოება

იქ, სადაც მთები ყრუ იყო, ხეობები უკაცრიელი, ჭაობები გაუვალი და ველები ერთფეროვანი, ახლა გადაჰიმღლია ჩაის პლანტაციები, გაშენებულია ფაბრიკები, ტუნგოს სახდელი ქარხნები, თამბაქოს საფერმენტაციო, აბრეშუმის სახვევი, საკონსერვო, ყველ-კარაქის საწარმოები, მარნები.

და ყოველივე ეს იქმნებოდა იმ თაობის თვალწინ, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა ცარიზმის ნახევარფეოდალური წესები, მენშევიკთა დიქტატურა, სმენია ლენინის მოწოდებები ცხოვრების გარდაქმნის შესახებ და, ამ მოწოდებათა საპასუხოდ, აშენებდა ჰიდროელექტროსადგურებს, საირიგაციო სისტემებს, გუთანს ცვლიდა ტრაქტორით, კუსტარული სახელოსნოების ადგილას აშენებდა ქარხნებს, საუკუნეობრივ ჭაობებს ართმევდა კოლხიდის მიწას.

იგივე თაობა რეალურ ფასეულობებად აქცევდა პირველი ხუთწლედების ციფრების რომანტიკას. იგი ქმნიდა ავტომობილმშენებლობასა და ლითონდამუშავებას — თბილისში, შავ მეტალურგიას — რუსთავში, ავტომობილმშენებლობას ქუთაისში.

იგივე თაობა უკვე თავისი შვილებითა და შვილიშვილებით კავკასიონის უღელტეხილებზე იცავდა თავის მიწა-წყალს ბერლინელი მანიაკის ურდოების შემოსევისაგან, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ნალიანი ჩექმებით გაეთელათ ქართული ვაზი. ამ ვაზისათვის საშინელ ბრძოლებში საბჭოთა ჯარისკაცმა იალბუზის ნისლიან ნაპრალებში გადაყარა ბევრი თეთრი ედელვაისი, ბავარიის სამთო-მსროლელთა დივიზიების დროშებზე რომ იყო აღბეჭდილი.

ათასწლეულებში ნაქებ-ნადიდები, საუკუნეების ცეცხლში გამოვლილი ქართული ვაზი ყოველთვის იზიარებდა ქართველი ხალხის ბედს.

ჩვენ დავუწყეთ ძებნა ერთ მტევანს, რომელსაც შეეძლებოდა ერთხელ კიდევ მოეგონებინა ადამიანებისათვის, თუ რა უძლეველი ძალა აქვთ მათ.

დაგადება

ერთმა არაბმა ბრძენმა თქვა: ვისაც სურს მომავალი ჰქონდეს, წარსული უნდა იცოდესო. ყოველი ხალხი თავის წარსულს იგონებს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის გასაგები ნიშნების მიხედვით. ხოლო ქართველი ხალხის ისტორია შემოწნულია ვაზით.

ღვინო გამარჯვების, სახალხო ზეიმის, მეგობრობის თანამგზავრია. როცა ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ერთმანეთის არსებობა, ისტორიამდელ დროს მიწის პატარა ნაკვრეზე, რომელსაც აქეთ-იქით ორი ზღვა ეკრა, სადაც იქმნებოდა მთები ოქროს საწმისზე და ლეგენდები ამორძალებზე, სადაც შემდეგში ქართველთა წინაპრებმა იწყეს თავიანთი ისტორიის შექმნა, წარმოიშვა ადამიანის მიერ სიყვარულით გამოყვანილი ლამაზი ვაზი — ყოველისმომცველი სიხარულის წყარო.

მრავალი ათასი წელიწადია ცხოვრობს ადამიანი დედამიწაზე. მრავალ ათას წელიწადს ითვლის ადამიანის გმირობაც. მშრომელი კაცის ამ გმირობას მოგვაგონებს უამრავი ქმნილება: ეგვიპტის პირამიდები და საბერძნეთის ანტიკური ქანდაკებანი, რომის პირველი წყალსადენი და ჩინეთის დენთი, პირველი ფრთები, რომლებმაც დედამიწას მოსწყვიტეს ადამიანი, და უძველესი იეროგლიფები, საუკუნეთა მიღმა ადამიანური სული და აზრი რომ შთაბერეს ქვას.

გმირობა ადამიანს თვისებაა ოდითგან...

ზოგიერთს გმირობისათვის აღფრთოვანებს უმძაფრესი სურვილი შეიცნოს იდუმალი მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ასე ისახამს ფრთებს იკაროსის ოცნება. ზოგიც ზღვის ფსკერზე ეშვება და ამოაჭვს უცხო მარგალიტი, რომლითაც მერე გვირგვინს დაიმშვენებს ხელსუფალი, თვით მარგალიტის მომპოვებელი კი ფრთხილად შეახებს ხელს გასამრჯელოდ მიღებულ ერთ ნატეხ პურს.

და მაშინ ხალხის გულში სვედიანი სიმღერები იწყებენ ღელვას. ამ სიმღერებშია ოცნებაც ბედნიერებაზე, გულისწყრომაცა და გმირობის წყურვილიც. საუკუნეთა მანძილზე ამ მისწრაფებებს ყველა ხალხი თავისებურ სიმბოლურ სახეებად აქცევს.

ერთი ასეთი სიმბოლო ქართველი ხალხისა ვაზია, რომელიც ესწრაფვის მზეს, ხოლო თვით მზე აღინთებს აზრს და გმირობისაკენ მოუწოდებს ადამიანს.

ხანა ალორძინებისა

წინ კავკასიონის მთები აღიმართნენ, ღრუბელთა მოლურჯო ყაბალახმოხვეულნი. ცოტაც, და მითიური ვაზის სამყოფელში ვიქნებით.

„ტუ-104"-ის სარკმლიდან საქართველოს მთაბარი რელიეფურ რუკასა ჰგავს. მაღლით თითქოს უფრო კარგად მოჩანს ყველაფერი დიდი და მშვენიერი. რარიგ გარდაიქმნა ცხოვრება, სადღაა ნახევრადკოლონიური ქვეყანა! იგი ახლა აყვავებული სოციალისტური რესპუბლიკაა. და ამ რუკაზე ფიქრში განვალაგეთ პირობითი ნიშნები:

ჭიათურა — მარგანეცი, ტყვარჩელი — ქვანახშირი, ზუგდიდი — ბარიტი. ახალციხის აქატი. ლოპოტის მარმარილო. მირზაანის ნავთობი. აჭარის ჩაი. კოლხიდის ნარინჯები. ქართლის ატამი, კახეთის ყურძენი...

ერთ წუთსაც არ წყდება საქართველოს მრეწველობის მაჯისცემა. ხორციელდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა; იზრდება თუჯის, ფოლადის, მილების, ფეროშენადნობების, ცემენტის, ავტოთვითსაცლელი მანქანების, მიწისმწოველის, ზუსტი ხელსაწყოების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სართავი დაზგების წარმოება

იქ, სადაც მთები ყრუ იყო, ხეობები უკაცრიელი, ჭაობები გაუვალი და ველები ერთფეროვანი, ახლა გადაჰიმღლია ჩაის პლანტაციები, გაშენებულია ფაბრიკები, ტუნგოს სახდელი ქარხნები, თამბაქოს საფერმენტაციო, აბრეშუმის სახვევი, საკონსერვო, ყველ-კარაქის საწარმოები, მარნები.

და ყოველივე ეს იქმნებოდა იმ თაობის თვალწინ, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა ცარიზმის ნახევარფეოდალური წესები, მენშევიკთა დიქტატურა, სმენია ლენინის მოწოდებები ცხოვრების გარდაქმნის შესახებ და, ამ მოწოდებათა საპასუხოდ, აშენებდა ჰიდროელექტროსადგურებს, საირიგაციო სისტემებს, გუთანს ცვლიდა ტრაქტორით, კუსტარული სახელოსნოების ადგილას აშენებდა ქარხნებს, საუკუნეობრივ ჭაობებს ართმევდა კოლხიდის მიწას.

იგივე თაობა რეალურ ფასეულობებად აქცევდა პირველი ხუთწლედების ციფრების რომანტიკას. იგი ქმნიდა ავტომობილმშენებლობასა და ლითონდამუშავებას — თბილისში, შავ მეტალურგიას — რუსთავში, ავტომობილმშენებლობას ქუთაისში.

იგივე თაობა უკვე თავისი შვილებითა და შვილიშვილებით კავკასიონის უღელტეხილებზე იცავდა თავის მიწა-წყალს ბერლინელი მანიაკის ურდოების შემოსევისაგან, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ნალიანი ჩექმებით გაეთელათ ქართული ვაზი. ამ ვაზისათვის საშინელ ბრძოლებში საბჭოთა ჯარისკაცმა იალბუზის ნისლიან ნაპრალებში გადაყარა ბევრი თეთრი ედელვაისი, ბავარიის სამთო-მსროლელთა დივიზიების დროშებზე რომ იყო აღბეჭდილი.

ათასწლეულებში ნაქებ-ნადიდები, საუკუნეების ცეცხლში გამოვლილი ქართული ვაზი ყოველთვის იზიარებდა ქართველი ხალხის ბედს.

ჩვენ დავუწყეთ ძებნა ერთ მტევანს, რომელსაც შეეძლებოდა ერთხელ კიდევ მოეგონებინა ადამიანებისათვის, თუ რა უძლეველი ძალა აქვთ მათ.

დაგადება

ერთმა არაბმა ბრძენმა თქვა: ვისაც სურს მომავალი ჰქონდეს, წარსული უნდა იცოდესო. ყოველი ხალხი თავის წარსულს იგონებს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის გასაგები ნიშნების მიხედვით. ხოლო ქართველი ხალხის ისტორია შემოწნულია ვაზით.

ღვინო გამარჯვების, სახალხო ზეიმის, მეგობრობის თანამგზავრია. როცა ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ერთმანეთის არსებობა, ისტორიამდელ დროს მიწის პატარა ნაკვრეზე, რომელსაც აქეთ-იქით ორი ზღვა ეკრა, სადაც იქმნებოდა მთები ოქროს საწმისზე და ლეგენდები ამორძალებზე, სადაც შემდეგში ქართველთა წინაპრებმა იწყეს თავიანთი ისტორიის შექმნა, წარმოიშვა ადამიანის მიერ სიყვარულით გამოყვანილი ლამაზი ვაზი — ყოველისმომცველი სიხარულის წყარო.

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. სტრაბონის გეოგრაფიაში აღნიშნულია ვენახების სიმრავლე საქართველოში, კახეთის ძველი ნაქალაქარების გათხრის დროს ნაპოვნია მეღვინეობის ბევრი საგანი, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს განეკუთვნება. პიტიახშების, ძველი საქართველოს მეფის ნაცვლების არმაზის აკლდამებში აღმოჩენილია დახვეწილი ოქროქედილი ნაკეთობანი: ვერცხლის ლანგარი, რომელზეც გამოსახულია მზეთუნახავი მტევნებით ხელში, ოქროს საყურეები, რომლებიც შემკულია ყურძნის მტევნებითა და მწვანე ქვისაგან ამოკვრილი ვაზის ფოთლებით. აპოლონ როდოსელის პოემაში „იასონ და მედეაში" აღწერილია არგონავტების მისვლა მეფე აეეტთან. ამ მეფის სასახლის ზღურბლთან არგონავტებმა ნახეს ვაზები, ხოლო შადრევნიდან ღვინო ამოდიოდა. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმენი არიან იმდროინდელ საქართველოში ფართოდ განვითარებული მევენახეობისა. თამარ მეფის მიერ ჯავახეთის მთებში შექმნილ ქალაქ ვარძიის გამოქვაბულებში ნაპოვნია მარანი, რომლის უზარმაზარ ქვევრებში შენახულიყო გაწყალებული ღვინის ნარჩენები. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, XVII საუკუნის მეორე ნახევარში რომ იყო საქართველოში, დიდი ქებით იხსენიებს ღვინოებს, რომლებსაც აყენებდნენ ხეზე ასული ადგილობრივი ვაზის ჯიშების აყურძნისაგან. მისი თქმით, ღვინო დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საქართველოდან სომხეთში, ირანში და ირანის დედაქალაქ ისპაანში. ვახუშტი ბატონიშვილს მოჰყავს მრავალი ცნობა მევენახეობის შესახებ. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ცნობით, საქართველოში XVII საუკუნეში 250-მდე ჯიშის ვაზი იყო გავრცელებული.

ქართულ ვაზს უმღეროდნენ პოეტები. მას სული შთაბერა ფოლკლორმა, იგი შეგიდა ეროვნულ ორნამენტში. მისთვის იბრძოდნენ ქართველი მეომრები. მას სისხლი სდიოდა თემურ-ლენგისა და შაჰ აბასის მახვილებით ჩაყენებული ჭრილობებიდან და, ხალხის სიყვარულით ამაღლებულს, პატიკი ხედა შემოზვეოდა დროშებსა და რელიკვიებს. უდიდეს დამნაშავედ სთვლიდა „სიბრძნე სიცრუის" ავტორი სულხან-საბა ორბელიანი მებაღეს, რომელიც ყურძენს იპარავს. ქართული ვაზის სილამაზე გვიჩვენა ფიროსმანმა თავის დიდებულ პრიმიტივებში.

ასე უმადლოდა ხალხი ვაზს იმ ცეცხლისათვის, რომელსაც იგი აგიზგიზებდა მის კერაში და სწორედ ამიტომ ასე მძიმედ განიცდიდა მისი ბედის ყველა უკეთურობასა.

მე-19 საუკუნეში, ორთავიანი არწივის ბატონობის დროს, საქართველოს მევენახეობამ ყველაზე მძიმე ხანა გადაიტანა. ვაზის პრიმიტიული წესით მოვლა ცუდ გავლენას ახდენდა ნარგავთა მდგომარეობაზე. სოკოვანმა დაავადებებმა: ორმოცდაათიან წლებში ოიდიუტარმა, ოთხმოციან წლებში — მილდიუმ მძიმე ზარალი მიაყენეს ვაზს. ოთხმოცდაათიან წლებში გავრცელდა ფილოქსერა, მევენახეობის საშინელი მტერი.

ფილოქსერის გავრცელებამ გამოიწვია მევენახეობის დეგრადაცია, კატასტროფიული განადგურება. ამ დაავადების 23 წლის თარეშის შედეგად (1895-1917) დაიღუპა 30.000-მდე ჰექტარი ვენახი. ხალხი დასტიროდა განადგურებულ ვენახებს.

ვაზი ხიშტების რკალში

იმ წლებში ვინ იფიქრებდა, რომ შორს არ იყო დრო, როცა ქართულ ვაზზე კვლავ ამეტყველდებოდა მითები.

დიდმა ოქტომბერმა ვაზი გაათავისუფლა რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკისაგან, მაგრამ მას სული შეუხუთა მენშევიზმის მტაცებლურმა ხელმა, კომუნისტური ინტერნაციონალის წინსვლით შეშინებული ყვითელი მმართველები ცდილობდნენ კავკასიონის ქედით შეეჭრებინათ ყამთა სელ. მაგრამ ლენინის იდეები, რომლებსაც ხელოვნურად შექმნილი საზღვრები ვერ აჩერებს, არღვევდნენ მთებს და სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდნენ ქართველ გლეხობაში. და მენშევიკი მმართველები დასაყრდენს ეძებდნენ ხან ბავარიის სამთო ჯარების შტაბში, რომლებიც ვილჰელმ II-ის ბრძანებით იდგნენ „ვახტზე ბოლშევიკების წინააღმდეგ" საქართველოს სამხედრო გზაზე, ხან ცდილობდნენ დამეგობრებოდნენ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს და ანტანტის წარმომადგენლის პოლკოვნიკ ჰასკელის ხელმძღვანელობით იმუშავებდნენ „საზავო" ხელშეკრულებას დენიკინთან, ხან ეყრდნობოდნენ კოლონიური ჯარების ხიშტებს და, ელაქუცებოდნენ რა სერ უორდროპს, ინგლისის საგანგებო კომისარს ამიერკავკასიაში, ჰპირდებოდნენ ბათუმის ნავსადგურს, ოღონდ დე-იური ეცნოთ „დემოკრატიული" საქართველო. სადღა ეცალათ სოფლის მეურნეობაზე ზრუნვისა და მევენახეობის ხსნისათვის, უზარმაზარი ზვრები ითელებოდა და იჩეხებოდა, იღუპებოდა უმეთვალყურეობისა და დაუმუშავებლობის შედეგად. მართალია, მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ყოფილი რეზიდენციის ყვითელ და თეთრ დარბაზებში გამართულ ბანკეტებზე ყველა რანგის ბატონ იმპერიალისტებს ქართულ ყურძენს მიაერთმევდნენ ხოლმე ვერცხლის ძველებური ლანგრებით, ოკუპანტები და ინტერვენტები ტკბებოდნენ სურნელოვანი ყურძნით და უკეკ ვარაუდობდნენ, რომ ხელში ჩაიგდებდნენ ბაქო-ბათუმის ნავსადგურს, მოიპოვებდნენ ჭიათურის მარგანეცისა და სხვა მადნეულის ექსპორტის უფლებას. ამიტომ მათი დახმარება სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის საარსებო პრობლემების გადაწყვეტაში გამოხატა იმით, რომ გულმოდგინედ ახშობდნენ „ანარქიას", როგორც ისინი უწოდებდნენ განუწყვეტლივ მზარდ რევოლუციურ მოძრაობას და ქართველი ხალხის მისწრაფებას საბჭოთა რუსეთთან შეერთებისაკენ. ლენინის დეკრეტი მიწის შესახებ საქართველოს გლეხობისათვის, რომელსაც მემამულეები და მენშევიკური ხელისუფლება ავიწროებდნენ, გახდა შუქურა, რომლის წითელი სხივი მომწოდებლად უნათებდა მათ კოლონიური ღამის წყვდიადში. აგრარული რეფორმა (გლეხობისათვის მიწის გადაცემა) კვლავ ერთ წერტილზე იყო გაყინული. 1921 წლისათვის ვენახების ფართობი კიდევ 10.000 ჰექტარით შემცირდა.

ა. ანტონოვსკაია.

ბ. ჩორნი.

დიონისოს ძღვენი

1920 წლის გვიან შემოდგომაზე ძველი თბილისის არისტოკრატიული რაიონის — სოლოლაკის ერთერთ განმარტოებულ სახლში გულათაღი საუბარი ჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ორ დეპუტატს. ნაციონალ-დემოკრატი, რომლის პარტია ოპოზიციაში ითვლებოდა, დასცინოდა მთავრობის ეკონომიურ სიძნელეებსა და ამტკიცებდა „წმიდა ბერი წმიდად წაწყმდებაო". ცნობილმა მენშევიკმა, მეოთხე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა, მშვიდად აავსო ორი სასმისი და მიუგო: „ჩვენ წმიდად ვიცავთ დემოკრატიულ პრინციპებს. არ დავიღუპებით". ნაციონალ-დემოკრატი არ ეშვებოდა: „მაინც რომ მოხდეს? ეშმაკს არ სძინავს". ცნობილმა და ყოფილმა სასმისს გახედა მბეჭუტავი ჭაღის შუქზე: „მაშინ თქვენც არ იქნებით, ბატონო ფრონდისტო. არ იქნება, სამწუხაროდ, მთელი საქართველოც. სამუდამოდ დაიღუპება ქართული ვაზიც, რომელიც ქმნის ამ ნექტარს, ღმერთ დიონისოს ძღვენს".

მაგრამ როცა ეს ჭაღი გააჩირაღდნა გოელროს კაშკაშა შუქმა, ორივე მოსაუბრე გაქრა...

ვაზი კი...

ატომი და ყურძენი

მას შემდეგ ორმოცმა წელმა განვლო...

ორმოცი წელი თითქოს მეტად მცირე დროა სიმშვენიერის შესაქმნელად. გაიხსენეთ, რამდენ საუკუნეს შენდებოდა ჩინეთის დიდი კედელი! მაგრამ ჩვენს ეპოქაში სხვა წარმოდგენა შეიქმნა წუთის სიდიდეზე.

ორმოცი წლის წინათ, ეს იყო კოსმოსში ადამიანის გაფრენამდე, ატომის საიდუმლოების გამოცნობამდე, დიდ სამამულო ომამდე.

საბჭოთა ხანის რვა ხუთწლედი ეს მხოლოდ კალენდრის 14.600 მოხეული ფურცელია. მაგრამ ამ ფურცლებში დაფარულმა ენერგიამ ქართულ ვაზს ახალი სიცოცხლე შესძინა.

საქართველოს ახალი ცხოვრების გზა გაკაფეს 1921 წლის აჯანყებულთა რაზმებმა. მათ მენშევიკურ წყობილებას უთხრეს: „არა!" ამ რაზმებმა მოსაშველებლად წამოსული მეთერთმეტე არმიის წითელ ნაწილებთან ერთად 25 თებერვლის დღეს განსაკუთრებული ისტორიული შინაარსი მისცეს, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა სერგო ორჯონიკიძის ცნობილ დეპეშაში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი:

„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით 1920 წლის ივნისში ბაქოში ჩამოყალიბებული და მენშევიკური საქართველოდან გასახლებული თუ გაქცეული შეიარაღებული აჯანყებების მონაწილე ბოლშევიკებით დაკომპლექტებული პირველი ქართული მუშურ-გლეხური პოლკის მეომართა შორის მევენახეებიც იყვნენ.

თავიანთი ვენახების აღსადგენად მათ სჭირდებოდათ ელექტროენერგია და წყალი.

ლენინი, რომელიც საქართველოს რუკას დაჰყურებდა, თვალს აყოლებდა იმ მდინარეთა ცისფერ კლაკნილებს, რომელთა ენერგია ტურბინებში უნდა მოქცეულიყო, მადნეული და მდიდარი მთების ყავისფერ ხაზებს, წყალმოწყურებული ველების მომწვანო ლაქებს.

ვლადიმერ ილიას-ძე ოდნავ მეტად მოჭუტა თვალი და ფანქრით დაიკაკუნა სურამის უღელტეხილზე, რომელსაც ჰკვეთდა თბილისი-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალის ლუჩი ხაზი. იგი თითქოს ხედავდა, როგორ მიჰქონდათ ამ გზით გაქცეულ მენშევიკების ლიდერებს მეფეთა გვირგვინები, თავადთა ოქროს იარაღი, ჩერკონცებით სავსე ტომრები.

და ლენინმა მტკიცე ხელით გაავლო წითელი ხაზი ბაქო-თბილისი.

მენშევიკების მიერ აოხრებულ საქართველოში ამ მაგისტრალით მაშინვე დაიძრნენ ეშელონები: პურით, შაქრით, საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობით.

ოქროს საუკუნე

და აი ეს ვაზი ჩვენს წინაშეა. მასზე ქარვასავით კიაფობს ორმოცი მძიმე მტევანი. ეს სასწაული, რომელიც სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეებმა შექმნეს, ქართული მევენახეობის „ოქროს საუკუნეს" განასახიერებდა.

აღტაცების გრძნობას იწვევდა ეს „მარგალიტი", რომელიც კოლმეურნეებმა ბუნების ფსკერიდან ამოიღეს. მაგრამ ჩვენ ვეძებდით სხვა ვაზს, იქნებ არცთუ ისე მშვენიერს.

ჩვენ განვაგრძობდით მოგზაურობას მითის კვალდაკვალ. კახეთში რთველი ჩაღდებოდა. მელღღიური სმღერების ხმაზე მარკვე ხელები გოდრებში აწყობდნენ „რქაწითელს" „ხიხვის", „კახური მწვანის" მკვრივ მტევნებს.

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" ვნახეთ როგორ სათუთად ეპირა მხარეკეიან ჭაბუკს ქარვისფერი მტევანი, მთელი წლის გულმოდგინე შრომის ნაყოფის პატარა ნაწილი, და გვეჩვენებოდა თითქოს მსუბუქად ეპირა ხელში ათას ექვსასორმოცდაათი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, თავისი კოლმეურნეობის 1960 წლის მოსავალი.

თუ საბჭოთა საქართველოს ცხოვრების პირველ წელს ვაზს ეკავა მხოლოდ 30.800 ჰექტარი, შვიდწლიანი გეგმის უკანასკნელ წელს ვენახები გადაიზომება უკვე 150.000 ჰექტარზე. ვაზის სვლა გრძელდება.

— ამ ღვინით დალიეთ ჩემი ვაჟიშვილის სადღეგრძელო.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

ოცდაათ წლის წინათ, ატომის საიდუმლოების გამოცნობამდე, ატომი ფანტელივით ედო ბაქოს ნავთობის ფენებს. ატომი ბაქოს ნავთობის ფენებში ელოდა ადამიანის ენერგიას, ელოდა ადამიანის ენერგიას, ელოდა ადამიანის ენერგიას,

საერთაშორისო
დეკეშები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

რა მოხდა სამხრეთ კორეაში!

საბჭოთა მთავრობის გაფრთხილება

ქენევა, 15 მაისი. (საკ.). დღეს მცირე ხანგამოშვების შემდეგ დიდ ბრიტანეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა მორიგი სხდომა სამხრეთ სახელმწიფოს თითბრისა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. პირველი გამოვიდა ამერიკის დელეგატი ა. დინი, რომელიც ვრცელ განცხადებაში ცდილობდა ერთხელ კიდევ დაეტყუებინა კონსტრუქციულობა ამერიკის წინადადებისა, რომელთა მიღება თითქოს „არ სურდეს საბჭოთა დელეგაციას“.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგატი ს. კ. ცარაპკინი, რომელმაც საბჭოთა მთავრობის დავალებით გააკეთა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტას. ჟენევის მოლაპარაკებაში საბჭოთა მხარე ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს ისეთი ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებას, რომელიც ეფექტიანი კონტროლის პირობებში ერთხელ და სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს ატომური და წყალბადის ბომბების ყოველგვარ გამოცდას. ცდილობს რა გააფართოოს ასეთი ხელშეკრულების შეთანხმება, საბჭოთა მთავრობამ ცალმხრივი წესით შეწყვიტა ატომგულის იარაღის გამოცდა იმ იმედით, რომ დასავლეთის სახელმწიფოებიც არ აწარმოებენ ასეთ გამოცდებს.

მაგრამ საფრანგეთი, რომელიც შედის ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის სამხედრო კავშირში, გენერალური ასამბლეის გადწყვეტილებებისა და მრავალი სახელმწიფოს პროტესტების მიუხედავად, სისტემატურად ახორციელებს ატომური და წყალბადის იარაღის გამოსაცდელ აფეთქებებს...

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია აღნიშნოს, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოთა დაჯგუფების ესა თუ ის მონაწილე კვლავაც განაგრძობს ატომგულის იარაღის გამოცდას, ასეთი გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდება. თავისთავად იგულისხმება, რომ პასუხისმგებლობა ამისათვის დაეკისრებათ დასავლეთის სახელმწიფოებს“.

ძველი ჰანგები

ბონი, 15 მაისი. (საკ.). კანცლერმა ადენაუერმა ნიურნბერგში თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში კვლავ მოითხოვა დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის აღჭურვა ატომური იარაღით. იგი მოითხოვდა „თანასწორუფლებიანობას“ ატომური იარაღით აღჭურვაში.

ატომგულის იარაღით ბუნდესვერის აღჭურვაზე უარის თქმა განაცხადა დასავლეთ გერმანიის კანცლერმა, „იქნებოდა კაპიტულაცია რუსების წინაშე. მაგრამ ჩვენ არ მოვახდენთ კაპიტულაციას“,—პათეტიკურად წარმოთქვა მან.

ამასთან დაკავშირებით ადენაუერი ამტკიცებდა, რომ ბუნდესტაგის მომავალი არჩევნები „წყვეტს გერმანიისა და ევროპის მომავალს“. გამოეკამათა რა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მან განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ჩაგდება ხელისუფლების სათავეში იქნებოდა „გერმანიის დაღუპვა“. თუ გერმანიის პოტენციალი გამოაკლდა, თქვა მან, მთელი დასავლეთი ევროპა ჩაიარდება „საბჭოთა კავშირის ხელში“.

ადენაუერი მოითხოვდა აგრეთვე აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შემდგომ გაძლიერებას.

როდის დაიწყება თათბირი ლაოსის საკითხზე?

ჟენევა, 15 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი კ. რომანოვსკი იუწყება: გუშინ აქ გავრცელებული მითქმა-მოთქმა, ეს-ეს არის გამოქვეყნდება ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის ორი თავმჯდომარის ერთობლივი განცხადებაო, დღეს დილით არ დადასტურდა.

უკვე მეექვსე დღეა, რაც შვეიცარიაში მიმდინარეობს ლაოსის პრობლემის მოწესრიგების საერთაშორისო თათბირისადმი მიძღვნილი მოლაპარაკება. 12 მაისისათვის გათვალისწინებული თათბირი დღემდე არ დაწყებულა. დელეგატებს არ შეუძლიათ შემოუსხდნენ სხდომათა მაგიდას მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოთა კეთილგანწყობილების ნაშთები, დეპარტამენტი ანგარიშს არ უწევს ფაქტებს და მოითხოვს პრივილეგიებს ლაოსელ მეამბოხეთა დელეგაციისათვის (სხვათა შორის, ამ დელეგაციის მეთაური გენერალი ნოსავანი ჯერაც არ გამოჩენილა აქ). რასკი უარს აცხადებს აღიაროს თანასწორუფლებიანობა სუვანა ფუმას მთავრობისა და ნეო ლაო ხაკ სატის წარმომადგენლებისა, რომლებიც გაერთიანდნენ მეამბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დინ რასკი, რომელსაც არ უნდოდა დიდ ხანს დარჩენილიყო ჟენევაში, ჯერჯერობით კვლავ აქ იმყოფება. როგორც ჩანს, მან იცის, რომ არ შეიძლება დაუსრულებლად გაიბიანურონ საქმე, რადგან შესაძლოა დაკარგონ ვიეტნამისადმი აზიის ნეიტრალურ სახელმწიფოთა კეთილგანწყობილების ნაშთები.

საბჭოთა მთავრობის გაფრთხილება

ჟენევა, 15 მაისი. (საკ.). ... ბა აგრეთვე სამხრეთ კორეაში უცხოეთის პრესისა და საინფორმაციო საგენტოების წარმომადგენელთა საქმიანობაზე). ბრძანებით აკრძალულია საბოტაჟი. სეულში 19 საათიდან დილის 3 საათამდე უმოღებულია კომენდანტის საათი. სამხედრო „რევოლუციურმა“ კომიტეტმა განაცხადა, რომ ბრძანების დამრღვევთ დაუპატიმრებენ და მკაცრად დასჯიან.

კომიტეტის ნომერი 2 და 3 ბრძანებათა შესაბამისად 16 მაისს დილის 9 საათიდან სამხრეთ კორეაში აკრძალულია ყოველგვარი ფინანსური საქმიანობა და დახურულია ნავსადგურები. აღნიშნულ ბრძანებებს არ ექვემდებარებიან საერთაშორისო ბანკის განყოფილებები, აგრეთვე უცხოეთის ხომალდები.

აკრძალულია როგორც კორეელთა, ისე უცხოელთა ჩასხდომა გემებში. თვითმფრინავებს ამოწმებენ, კონტროლს ექვემდებარება ხომალდების მოსვლა და წასვლა.

ყველაფერი ცხადყოფს, რომ ეს სამხედრო გადატრიალება რეაქციის შეთქმულებაა, რომელსაც ამზადებდნენ ძლიერი კონსპირაციის ვითარებაში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ჩან მენი, რომელმაც ვერ შეძლო გასული წლის აპრილის აჯანყების შემდეგ ჩაეხშო სამხრეთკორეელი მოსახლეობის ბრძოლა და თავისი საქმიანობით მხოლოდ გააძლიერა პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი სამხრეთ კორეაში. გადატრიალება მოაწყეს ულტრარეაქციულმა ძალებმა, რომლებიც დაფრთხო ანტიამერიკული განწყობილების ზრდამ და იმან, რომ სამხრეთ კორეაში გაფართოვდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მოძრაობა კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

თავისთავად ოდიოზურია სამხედრო გადატრიალების უშუალო ხელმძღვანელის-გენერალ-ლეიტენანტ ჩან დო ენის ფიგურა. იგი იაპონის არმიაში მსახურობდა. მონაწილეობდა იაპონის აგრესიულ ომში ჩინეთის წინააღმდეგ, კერძოდ ნანკინის იერიშში. 1945 წლის 15 აგვისტოს შემდეგ მასწავლებდა მუშაობდა ქალაქ სინიჯუს (ჩრდილოეთი კორეა) გიმნაზიაში. 1945 წლის დამლევს, ოცა გიმნაზიაში გამოაცხადა არალეგალური ორგანიზაცია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ჩან დო ენი სამხრეთ კორეაში გაიქცა. 1946 წელს დაამთავრა სამხრეთ კორეაში ამერიკის ჯარების სამხედრო ადმინისტრაციასთან არსებული სამხედრო სასწავლებელი და მას ძეძდგ დაიწყო მისი, როგორც ოფიცრის, წარმატებითი კარიერა. 1952 წლის ივნისში იგი მიავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და სწავლობდა სამხედროო ჯარებისათვის შტაბის მუშაკთა მოსამზადებელ სამხედრო სასწავლებელში. გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა 1954 წლის ოქტომბერში.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ სამხრეთ კორეის სამხედროო ჯარების შტაბის უფროსის პოსტზე უკანასკნელ დანიშვნამდე ჩან დო ენს მთელი რიგი პასუხსაგები პოსტები ეკავა არმიაში.

ამ 40 წლის გენერალ-მეჯერავის ბიოგრაფიაში არის ფრიად მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც ახასიათებს მას როგორც რეაქციულ პიროვნებას. 1948 წელს ქალაქ ესუში, სადაც ჯარის ნაწილების ანტილისინმანური აჯანყება მოხდა, მან პირადად მოაწყო 400 კორეელი მოქალაქის დახვრეტა, რომელთაც ბრალად დასდეს, რომ „წითლები“ იყვნენ. ჩან დო ენს დიდ პატივს სცემდა ლი სინ მანი, დაჯილდოებული იყო მთელი რიგი ორდენებით.

სამხრეთ კორეაში მომხდარი ამბების გამო

პარიზი, 16 მაისი. (საკდესი), როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, სამხრეთ კორეაში ამერიკის ჯარების სარდლობამ დღეს საბრძოლო განგაში გამოაცხადა სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებით. ამერიკის ჯარებს ნაბრძანები აქვთ დარჩნენ ყაზარმებში და მზად იყონ „ყოველგვარი არაჩვეულებრივი ამბისათვის“. ჯარების სარდალმა გენერალმა მაგრუდერმა სამხედრო წარმომადგენელთა სასწრაფო თათბირი მოიწვია შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

ამერიკის ჯარი სამხრეთ ვიეტნამში

ლონდონი, 15 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ ინგლისელ კორესპონდენტთა ცნობით, პრეზიდენტმა კენედიმ ბრძანა სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნოს ამერიკელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა კონტინგენტი, რომელიც კარგად არის მომზადებული ჯუნგლში ომის წარმოებისათვის. ისინი „დაეხმარებიან ნგო დინ დიემის ჯარებს მის ოპერაციებში „კომუნისტების წინააღმდეგ“.

სამხრეთ ვიეტნამში კომუნისტებს უწოდებენ პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან ნგო დინ-დიემის პროამერიკული რეჟიმის წინააღმდეგ. — **რედ.**).

ამ „პარტიზანული ომის სპეციალისტთა გაგზავნა“ აღნიშნავს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, ხორციელდება სამხრეთ ვიეტნამისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ვიცე-პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ვიზიტის დროს დაიდო იმის შესახებ, რომ გადიდდეს ამერიკის სამხედრო მხარდაჭერა საიგონის მთავრობისათვის.

ინგლისის „ლეოპარდი“ ანგოლის ნაპირებთან

ლონდონი, 16 მაისი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში ლეიბორისტებმა მკვეთრად გააკრიტიკეს მთავრობა იმისათვის, რომ ინგლისის სამხედრო ხომალდი „ლეოპარდი“ გაგზავნა „მეგობრული ვიზიტით“ ლუანდის ნავსადგურში (პორტუგალიის კოლონია ანგოლაში). ლეიბორისტებმა ხაზი გაუსვეს, რომ აფრიკის ხალხები უეჭველია ამ ვიზიტს მიიჩნევენ როგორც ეუსტს პორტუგალიის რეპრესიების მხარდასაჭერად ანგოლის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ლეიბორისტება ფენერ ბროუეიმ განაცხადა, რომ უკანასკნელ რამდენიმე კვირაში პორტუგალიელებმა მეტი აფრიკელი ქალი, მამაკაცი და ბავშვი მოსპეს, ვიდრე ჩვენი საუკუნის რომელიმე სხვა დროში.

„ანგოლაში მოკლეს დაახლოებით 20.000 კაცი, — თქვა მეორე ლეიბორისტმა პეიჯეტმა, — და აფრიკელებს შეიძლება ეგონოთ, რომ ამ ვიზიტს ჩვენი მხრივ ჩარევის ხასიათი აქვს“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

უხეში მანევრი

პარიზი, 15 მაისი. (საკდესი). ლებურეის საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის მოწვევის გაუქმებამ იხე დიდი აღშფოთება გამოიწვია სფრანგეთში, რომ გამოფენის მოწყობებმა გადაწყვიტეს საერთოდ გაეუქმებინათ კოსმოსური ავიაციის დღე, რომელიც 31 მაისს უნდა ყოფილიყო აღნიშნული გამოფენის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით ალან შეპარდიც არ დაესწრება გამოფენას.

გამოაცხადა რა, რომ კოსმოსური ავიაციის დღე გაუქმებულია, საფრანგეთის საავიაციო მრეწველობის მეწარმეთა გაერთიანების თავმჯდომარემ დებრიუიერმა დიმოწმა „სერიოზული საგარეო სიძნელეები“.

ჰოლანდიის მთავრობის არამეგობრული აქტი

ჰაგა, 15 მაისი. (საკდესი). ჰოლანდიის მთავრობამ ჰოლანდიაში შესასვლელი ვიზები არ მისცა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების მოძმე კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლებს, რომლებიც ნიდერლანდის კომუნისტურმა პარტიამ მიიწვია ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება.

ჯონსონი ტაივანში

ნიუ-იორკი, 15 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი ტაივანში 23 საათის ვიზიტის შემდეგ დღეს სამხედრო თვითმფრინავით ჰონკონგს გაფრინდა, იუწყებიან ამერიკის დეპეშათა სააგენტოების კორესპონდენტები ტაიბეიდან. ტაივანში ყოფნის დროს ჯონსონი შეხვდა ჩან კაი-შის. მან აღუთქვა მას ერთგულება ამერიკისა და ჩან კაი-შის „კავშირისადმი“. თქვენ, თქვა მან, შეგიძლიათ ამერიკის იმედი გქონდეთ... ამერიკა თქვენზე ამყარებს იმედს.

ტაივანიდან გამგზავრების წინ ჯონსონი დაესწრო ჩან კაი-შის პრეს-კონფერენციას, რომელმაც თავის გამოსვლაში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი ტაივანში დაახასიათა, როგორც „ახალი ნიშანსვეტი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ტაივანის მჭიდრო თანამშრომლობისა“.



ვამალებული შეიარაღება გადასახადების შემდგომ გადიდებას იწვევს. ამ გადასახადებს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში უმთავრესად მშრომელი მოსახლეობა იხდის. უბრალო ადამიანები მოითხოვენ შეწყდეს გაკოტრებული საგარეო პოლიტიკა, რომლის პირდაპირი შედეგია ლაოსში ომის გაღვივება, აფრიკაში კოლონიზატორებისათვის მხარის დაჭერა, კუბაზე შეიარაღებული შეჯარის მოწყობა, რაც სამარცხვინოდ ჩაიფუშა. მრავალმა ათასმა ამერიკელმა პონაწილეობა მიიღო კუბელ ხალხთან სოლიდარობის დემონსტრაციაში.

სურათზე: ერთ-ერთი დემონსტრაცია ნიუ-იორკში. მის მონაწილეებს მოპქონდათ პლაკატები კუბის დასაცავად და კუბის რესპუბლიკის ეროვნული ალამი.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულმა პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ შეერთებული შტატების პრესტიჟი მსოფლიოში მკვეთრად დაეცა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ქომუნისტი

ეროვნული
ეროვნული

მრავალდღიანი ველოსრბოლის უკანასკნელ მორბა ეტაპმა მძაფრ ბრძოლაში განვლო, მაგრამ მას ლიდერთა ჯგუფში არსებითი ცვლილება არ შეუტანია.

უკანასკნელისწინა მეცხრე ეტაპი ლენინაკანი — იჯევანი იყო. ფინიშთან პირველი მივიდა ი. იურჩიშინი (აზერბაიჯანი).

„მეგობრობის თასი“—აზერბაიჯანელებს

გუშინ შედგა უკანასკნელი ეტაპი მარშრუტით იჯევანი-თბილისი (130 კილომეტრი). სპორტსმენებს ამინდი ხელს არ უწყობდა — ძლიერ ქართან ერთად წვიმდა, შეუძლებელი გახდა დიდი სისწრაფის განვითარება. გადამწყვეტ ეტაპზე გამარჯვებულები გამოვიდნენ ს. ოგანესიანი (სომხეთი), ბ. მოროზოვი (აზერბაიჯანი) და კ. პოგორელოვი (საქართველო).

ფინიშის შემდეგ ველოსრბოლებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა ლენინის სახელობის მოედანზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

საღამოს ოფიცერთა სოლქო სახლში შედგა ველოსრბოლის შემაჯამებელი საღამო. სპორტსმენებთან ერთად აქ იყვნენ საქართველოს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლები, სტუმრები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან.

საღამო გახსნა საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სამსონაძემ. ველოსრბოლის მსვლელობისა და შედეგების შესახებ ილაპარაკა მთავარმა მსაჯმა ა. ხაბურზანიამ.

მიუხედავად მეტად რთული ტრასისა, სპორტსმენებმა თითქმის ყველა ეტაპზე მაღალი შედეგები აჩვენეს, გამოამჟღავნეს ოსტატობა, ამტანობა.

გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი აღმოჩნდა აზერბაიჯანის სპორტსმენთა კოლექტივი, რომელმაც საერთო პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდი, მესამეზე — სომხეთის ველოსრბოლთა კოლექტივი.



პირად ჩათვლაში მას შემდეგ, რაც ლიდერობა ხელთ იგდო სომხეთის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ტ. ავაქიანმა იგი არავითვის დაუთმია და პირველობაც მას ხვდა. დრო — 38 საათი, 49 წუთი და 42 წამი. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს აზერბაიჯანელმა ვ. ფრანჩუკმა და საქართველოს გუნდის წევრმა ვ. სიკორსკიმ.

სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა 10 გუნდს შორის წარმატებით გამოვიდა და ველოსრბოლაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს „კოლმეურნის“ ველომრბოლთა კოლექტივმა.

მოიწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ დაწესებული მთავარი პრიზი — „მეგობრობის თასი“ საზეიმოდ გადაეცა აზერბაიჯანის გუნდს. პირად ასპარეზობაში გამარჯვებულმა ტ. ავაქიანმა მიიღო მეგობრობის მაღასური.

გამარჯვებულ სპორტსმენებს დიპლომებთან ერთად გადაეცათ პრიზები, რომლებიც დაწესეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა.

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი, რომელიც დაწესებული იყო ყველაზე ჩქარროსნულ ეტაპში გამარჯვებული ველოსრბოლისათვის, მოიპოვა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ვ. სიკორსკიმ („კოლმეურნე“).

დასასრულ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სახელით სპორტსმენებს, მწვრთნელებს, მსაჯებს და მომსახურე პერსონალს მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა ამავე კავშირის პრეზიდიუმის წევრმა დ. მაისურაძემ.

• • •

სურათებზე: ზევით — ველოსრბოლაში გამარჯვებული აზერბაიჯანელი სპორტსმენები; ქვევით — პირად ასპარეზობაში გამარჯვებული ტ. ავაქიანი (სომხეთი).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

30 კაპიკად — პიანინო

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამბროლაურის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის სარემონტო კანტორის მუშამ იასონ კობახიძემ 1961 წლის პირველი გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთით პიანინო მოიგო.

შემთხვევები

ქალიშვილს სიცოცხლე შეუნარჩუნა

ლამე იყო. ღრმა ძილს მოეცვა ქართველ მეშაქრეთა დაბის აგარის მცხოვრენი. ეძინა იორდანე თედიაშვილსაც. უცებ გარედან ყვირილი შემოესმა. იორდანე წამოხტა ლოგინიდან, ყური მიუგდო და კვლავ გაიგონა, რომ ვიღაც შველას ითხოვდა. თედიაშვილი გამოვარდა გარეთ, და რას ხედავს! ტანზე ცეცხლმოდებული გოგონა ეზოში დარბის ყვირილით. იორდანე არ დაიბნა. მან ხელი წაავლო კედელზე ჩამოკიდებულ დამბაღულ ჩასაცმელს, ქალიშვილს ტანზე შემოახვია და ცეცხლი ჩააქრო. შემდეგ გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, და დაშავებული აგარის საავადმყოფოში წაიყვანეს.

სიკვდილს გადარჩა 19 წლის ქალიშვილი სონია კვატაძე, რომელსაც ნავთქურა აფეთქებოდა და ცეცხლი წაეკიდებოდა.

ვ. ვალიშვილი.

დიასახლისის მამაცობა

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის ცენტრში ჩამოდის მდინარე ფიცხევა, რომელიც რამდენიმე ათეული მეტრის შემდეგ უერთდება ძირულას. ფიცხევამ არაჩვეულებრივი ადიდება იცის.

ამას წინათ, როცა ჭალოვანის საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები მაგული და ეთერ შუბითიძეები სკოლიდან ბრუნდებოდნენ და მდინარეზე ხიდთან მივიდნენ, ერთ წამს შეეერდნენ, რადგან ხიდს წყალი სწვდებოდა, მაგრამ მაინც გაბედეს და ხიდზე შევიდნენ ერთიმეორის იღლიებელჩაჭიდებულნი. შუა ხიდზეც არ იქნებოდნენ მისული რომ წყლის ჩქარმა დინებამ ბავშვებს თვალი მოსტაცა და წყალში გადაცვივდნენ. ბავშვებს უოუო დაღუპვა მოელოდათ, მაგრამ ამას თვალი მოჰკრა ჭალოვანის კოლმეურნეობის წევრმა დიასახლისმა ნინო ამბაკოს ასულმა შუბითიძემ. იგი არ დაიბნა შევარდა მდინარეში და ბავშვები ნაპირზე გამოიყვანა.

ლ. ტეფნაძე.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

... ბაბჭოთა მთავრობის ... ...

ბელგრადი, 15 მაისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩში მოეწყო დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. 4 ტურის განმავლობაში დაგროვდა 14 ასეთი პარტია.

თამაშის განუახლებლად ოსტატმა ჯურაშევიჩმა (იუგოსლავია) დამარცხებულად ცნო თავი პარტიაში კორჩნოის წინააღმდეგ, ხოლო ოსტატმა ჩირჩჩმა — პეტროსიანის წინააღმდეგ. ასევე არ განუახლებიათ თამაში ჯურაშევიჩისა და ველერის პარტიაში. მოწინააღმდეგენი ყაიმს დათანხმდნენ.

კარგად განაღდა თავისი პოზიციური უპირატესობა პეტროსიანმა პარტიაში იუგოსლავიის ჩემპიონ ტრიფუნოვიჩთან. თეთრების მოქანა ლაზიერის ფლანგზე თანდათან გაძლიერდა და ტრიფუნოვიჩი იძულებული გახდა დამარცხებულად ეცნო თავი.

ტექნიკურად უნაკლოდ გაითამაშა მატანოვიჩმა პარტიის ძნელი დაბოლოება ოსტატ შტეინთან. თეთრების პაიკი ლაზიერი გახდა და შტეინი დანებდა.

ყაიმით დამთავრდა მატანოვიჩ-პეტროსიანის, ნედელკოვიჩ-ბორისენკოს, პავლენკო-პარმას, სიმაგინ-ბერტოკის, ივეიბახ-ტრიფუნოვიჩის, პეტროსიან-მატულოვიჩის პარტიები.

ამრიგად, სსრ კავშირის ჩემპიონმა პეტროსიანმა ერთ საღამოს დაამთავრა ოთხივე გადადებული პარტია და ოთხ შესაძლებელში მოაგროვა 3 ქულა.

დაბალი ბრძოლის შემდეგ ოსტატმა ჩირჩჩმა გაანაღდა თავისი მატერიალური უპირატესობა კერესთან და 64-ე სვლაზე გაიმარჯვა.

პარმამ მეორე პარტიაში დაამარცხა პავლენკო.

მატჩის ანგარიში გახდა 20,5:18,5 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ. ერთი პარტია დაუთავრებელი დარჩა. ოსტატობის კანდიდატ შმიტს (საბჭოთა კავშირი) ამ პარტიაში უპირატესობა აქვს ოსტატ პარმას წინააღმდეგ.

17 მაისს გაითამაშებენ მე-5 ტურს.

... ...

დე-მოინი, 15 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. ვიშნევსკი იუწყება: საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაციამ, რომელიც განაგრძობს მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვირას, 14 მაისს დღის მეორე ნახევარი გაატარა რ. ჰარსტის ფერმაში, კუნ-რაპიდსში, 75 მილზე აიოვას შტატის დედაქალაქ დე-მოინის ჩრდილო-დასავლეთით. ქალბატონი და ბატონი ჰარსტები სტუმართმოყვარეობით, დიდი გულითადობით შეხვდნენ სსრ კავშირის ჟურნალისტებს, მიიღეს ისინი თავიანთ ოჯახში, უბრალო პატარა სახლში.

რ. ჰარსტმა სტუმრებს გააცნო თავისი მეურნეობა, რომელსაც რამდენიმე ათასი აკრი ფართობი უკავია აიოვას შტატის — ამერიკის ყველაზე ნაყოფიერი და დიდადგანვითარებული სასოფლო-სამეურნეო შტატის გულში.

რ. ჰარსტი, რომელსაც 63 წელი შეუსრულდა, გატაცებითა და დაუშრეტელი ენერგიით განაგრძობს მუშაობას, რათა გაადიდოს მარცვლეულის მეურნეობის (სიმინდი და სორგო) და სახორცე მეცხოველეობის პროდუქტიულობა თავის ფერმაში და გარდა ამისა, ყოველწლიურად ფართო მასშტაბით აწარმოებს გაბედულ ცდებს ახალი ტექნიკის უადრესად ეფექტიანი გამოყენებისა და სარგებლების წინააღმდეგ ბრძოლის უახლესი ქიმიური საშუალებების გამოყენების დარგში. ახლა ჰარსტი, მისი ვაჟიშვილები და ძმისწულები, რომელთა ფერმები აქვე მეზობლადაა, ეძიებენ სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთ ქიმიურ საშუალებებს, რომლებიც სავსებით აღმოფხვრიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ციკლიდან ისეთ შრომატევად ოპერაციას, როგორიცაა ნათესების კულტივაცია. ჰარსტმა სტუმრებს უჩვენა მუშაობის დროს ამერიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიახლე — რვამწკრივა სიმინდის სათესი მანქანა, რომელსაც ნიადაგში შეაქვს სიმინდის მარცვალი და თხევადი ქიმიური სასუქი ერთსა და იმავე დროს.

ნახნავებსა და მწვანედ მობიბინე მდელოებში, ბაკებსა და მარცვალსაცავებში, შემდეგ კი ფერმერის სახლის აყუდრო სასტუმრო ოთახში მასპინძლებსა და სტუმრებს შორის არ წყდებოდა საუბარი. რ. ჰარსტი საბჭოთა კავშირში ცნობილია როგორც მხურვალე ძომხრე ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის თანაძმრომლობისა სოფლის მეურნეობის ტექნიკური მიღწევებისა და მისი გაძღოლის გამოცდილების გაზიარების დარგში. საუბრის დროს იგი ენერგიულად ხაზს უსვამდა თავის ამ შეხედულებებს, მხარს უჭერდა ორი ქვეყნის მშვიდობასა და ეგზისტენციას, გულთბილად იგონებდა თავის არაერთგზის შეხვედრას ნ. ს. ხრუშჩოვთან, გაზიარებდა საინტერესო აზრებს იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ძნიშნელობა ენიჭება ოთხ მომენტს: თესლის ჰიბრიდიზაციას, მინდვრის სამუშაოთა მექანიზაციას, მინდვრების ქიმიურ განოყიერებასა და-დაძუშავებას, საგრეიდერო სასოფლო გზების მშენებლობას. რ. ჰარსტი იცნობს საბჭოთა სოფლის მეურნეობას და გულახდილად გამოთქვა თავისი აზრი ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობასა და ამოცანებზე. მისი რწმენით, ქიმიური განოყიერება და ფართო საგზაო მშენებლობა სოფლის რაიონებში უნდა გახდეს უახლოეს ხანში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითადი საშუალებანი. მთელი დელეგაციის სახელით ვ. ს. ბურკოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა რ. ჰარსტსა და მისი ოჯახის წევრებს სტუმართმოყვარეობისა და საინტერესო საუბრისათვის.

საბჭოთა ჟურნალისტები დე-მოინს 13 მაისს ჩამოვიდნენ. გაზეთების „დე-მოინ რეჯისტერისა“ და „ტაიმსის“ წარმომადგენლებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა სტუმრებისათვის მოკლე დროში ენახვებინათ რაც შეიძლება მეტი საინტერესო რამ თავიანთ ქალაქსა და შტატში. დელეგაციამ დათვალიერა დე-მოინი და მისი მიდამოები, ეწვია აიოვას შტატის უნივერსიტეტს, რომელიც ცნობილია თავისი სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო კოლეჯით. იყო სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის ქარხანაში, საშუალო სკოლაში, ბანკში. გაზეთებისა და ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელებმა, საბჭოთა კავშირში ნამყოფმა ფერმერებმა, თვალსაჩინო ბიზნესმენებმა და უნივერსიტეტის მოღვაწეებმა სტუმრების პატივსაცემად გამართეს სადილი დე-მოინის საქმიან ქლუბში, უამბეს თავიანთი შტატის ცხოვრებისა და პრობლემების შესახებ.

15 მაისს დელეგაცია სან-ფრანცისკოს გაფრინდა.

... ...

ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი —3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3-16-90, წერილების—3-73-24,, საილუსტრაციო—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-61-42.

УЭ 03933

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.